

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## ინტეგრირებული გაკვეთილი სამოქალაქო განათლება - ბიოლოგია გაკვეთილის თემა: ფსიქოაქტიური ნივთიერებები

ციალა ზარიძე

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქახალქალაქის # 3 საჯარო სკოლის  
ბიოლოგიის მასწავლებელი

### რეზიუმე

სტატია ეძღვნება ინტეგრირებული გაკვეთილის მნიშვნელობას, კერძოდ, თუ როგორ უწყობს იგი ხელს ცალკეულ დისციპლინაში მიღებული ცოდნის გამთლიანებას, აძლევს ანალიზის და შეფასების საშუალებას.

მოცემულია ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების ეტაპები.

ჩვენ განვიხილავთ სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის # 3 საჯარო სკოლაში, ბიოლოგიის მასწავლებლის ციალა ზარიძისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელ ჟანა ხაჩატურიანის მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის - ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ალკოჰოლი, ნიკოტინი, ნარკოტიკი) გეგმას, სასწავლო მიზანს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მისაღწევ შედეგებს, გაკვეთილის მიმდინარეობას და მოსწავლეების მიერ გაკეთებულ დასკვნებს.

პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებმა გამართეს დებატები შედეგ კითხვებზე:

1. თუ რომელი ფსიქოაქტიური ნივთიერება: ალკოჰოლი, ნიკოტინი თუ ნარკოტიკი უფრო მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მის გარშემო მყოფი საზოგადოებისათვის?
2. როგორ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ უკვე ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებული პიროვნების გამოჯანმრთელებაზე. და, დამსწრეთა აზრით, როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება საერთოდ?

სტატიაში მოცემულია აგრეთვე ფსიქოაქტიური ნივთიერების ახსნა, რას ნიშნავს დამოკიდებულება, რა არის ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულება. დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კერძოდ, როგორ უფასურდება ადამიანის ინტერესები, თუ როგორ კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე, ვიწროვდება და უფასურდება სხვა ინტერესები და ბოლოს დამოკიდებულების ობიექტით შემოიფარგლება.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

*სტატიაში მოცემულია ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც შეავსეს გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა. სადაც გამოჩნდა მოსწავლეების წინარე ცოდნა აღნიშნული საკითხის მიმართ.*

*ასევე, სტატიას თან ვურთავთ პრეზენტაციის და დისკუსიის შეფასების რუბრიკებს და გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების სქემას, რომლებსაც წინასწარ იცნობდნენ მოსწავლეები და რომლის მიხედვითაც, სამი მოსწავლე, რომელიც წინასწარ იქნა შერჩეული თითოეული ჯგუფიდან აკვირდებოდა გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესს და შეაფასეს მისი გამოყენებით შესაბამისი აქტივობები.*

**საკვანძოსიტყვები:** ინტეგრირებული გაკვეთილი, ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულება.

დღეს ძალიან აქტუალურია ინტეგრირებული გაკვეთილების თემა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები, საგნობრივ პროგრამებს შორის არსებული თემატური კავშირები საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაგეგმოს და ჩაატაროს საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილი.

ადრეულ ასაკში მოსწავლეებს უჭირთ ცალკეულ დისციპლინებში ნასწავლი კონცეფციების სინთეზი, რაც უფრო დაქუცმაცებულია სამყარო მოსწავლისათვის სხვადასხვა "საგნად", მით უფრო ურთულდაბა მოზარდს მისი აღქმა და შესწავლა. ამ სირთულის დაძლევაში ასაკობრივ განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგად დაგეგმილ და ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილს.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის და ჩატარების ეტაპებია:

1. თემის შერჩევა;
2. კოლეგებთან ერთად | ან დამოუკიდებლად გაკვეთილის დაგეგმვა;
3. გაკვეთილის ჩატარებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება და კლასის მომზადება;
4. გაკვეთილის ჩატარება;
5. ჩატარებული გაკვეთილის შედეგების ანალიზი.

ჩვენ ინტეგრირებულ საგნებად ავირჩიეთ სამოქალაქო განათლება და ბიოლოგია VIII-IX-X კლასის მოსწავლეებისათვის, რადგან სკოლა მცირე კონტინგენტია შესაძლებელია სამი კლასის გაერთიანება, მითუმეტეს ჩვევს მიერ შერჩეული თემა ფსიქოაქტიური ნივთიერებები (ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკი) სამივე კლასში ისწავლება, კერძოდ: VIII და X კლასის ბიოლოგიაში, IX კლასის სამოქალაქო განათლებაში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

არსებობენ ნივთიერებები რომლებსაც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე განსაკუთრებული ზემოქმედების უნარი გააჩნიათ. ასეთ ნივთიერებებს ფსიქოაქტიური ნივთიერებები ეწოდებათ. ნარკოტიკები ფსიქოაქტიური ნივთიერებებია, რომლებსაც ადამიანი არასამედიცინო მიზნით ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გამო იყენებს. (ზაალიშვილი ნ., იოსებაშვილი ნ. ბიოლოგია VIII კლასის სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ტრიასი“, 2012)

არსებობს ე.წ. ლეგალური და არალეგალური ნარკოტიკები. არალეგალური ნარკოტიკი არის ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომლის შექმნა, მოხმარება, შენახვა და გავრცელება კანონით ისჯება. ყველასათვის კარგად ნაცნობი თამბაქო, ალკოჰოლი, ზოგიერთი მედიკამენტი ლეგალური ნარკოტიკებია. ალკოჰოლი განსაკუთრებით მოზარდებისათვისაა საზიანო, რადგან მალე თვრებიან და მათი ორგანიზმი და ტვინი უფრო ადვილად ზიანდება. ალკოჰოლის მომხმარებელი მოზარდი ადვილად იღლება, უჭირს ახალი ინფორმაციის სწორად აღქმა, დამახსოვრება, აზროვნება. მოზარდებში ალკოჰოლისადმი მიჩვევა უფრო ადვილად ვითარდება ვიდრე უფროსებში. რაც უფრო ადრე იწყებს მოზარდი ალკოჰოლის მიღებას, მით უფრო სწრაფად ხდება იგი ალკოჰოლზე დამოკიდებული. ასევე, ნიკოტინი მძიმედ მოქმედებს მოზარდის ნერვულ სისტემაზე, ფილტვებზე და სხვა ორგანოებზე. (ზაალიშვილი ნ., იოსებაშვილი ნ., ბიოლოგია, VIII და X კლასების მასწავლებლის წიგნი, საგამომცემლო სახლი "ტრიასი", 2012 წ.)

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ სამოქალაქო განათლების და ბიოლოგიის პედაგოგებმა აღნიშნულ თემაზე ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ თამბაქოს, ალკოჰოლის და უკიდურეს შემთხვევაში სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ. ამ საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს: თავიდან აირიდონ თამბაქოზე, ალკოჰოლზე და სხვა ნარკოტიკზე დამოკიდებულება; ბოლომდე გააცნობიერონ მათ მიერ გამოწვეული რისკები, აღიქვან, თუ როგორ ზემოქმედებენ ჩვენს ცნობიერებაზე გრძნობებსა და აღქმაზე.

<p>ე.ს.გ. განსაზღვრული მისაღწევი შედეგი</p>	<p>ბიოლ.VIII.9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს ადამიანისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა.                  ინდიკატორი: 5. მოიპოვებს ინფორმაციას და აანალიზებს თამბაქოს წვეის და ნარკოდიკული ნივთიერებების მოხმარების მავნე გავლენას ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირებაზე.                  სამოქალაქო განათლება. IX.5. მოსწავლეს შეუძლია პიროვნების და საზოგადოებისათვის მნიშვნელობის გააზრებით მიზდიოს ცხოვრების ჯანს ად წესს.                  ინდიკატორი:                  • აღწერს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს და</p>
---	--

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

	<p>ასაბუთებს მათ მავნე გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და საზოგადოების კეთილ დღეობაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განმარტავს, თუ რას ნიშნავს ალკოჰოლის ავადმობარება, მსჯელობს შესაბამის რისკებზე და ასაბუთებს ალკოჰოლის მავნე გავლენას ადამიანის, საზოგადოების კეთილდღეობაზე.</li> <li>• განმარტავს, თუ რას ნიშნავს არალეგალური ნარკოტიკული საშუალებები, მსჯელობს სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების ავადმობარებასთან დაკავშირებულ საერთო და სპეციფიკურ რისკებზე.</li> <li>• მონაწილეობს დისკუსიაში "რატომ არღვევენ ბავშვები კანონს". მსჯელობს არასრულწლოვან დამნაშავეთა უფლებებსა და მათი დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე; წერს თემას"რას ვურჩევდით თანატოლებს".</li> <li>• მსჯელობს სხვადასხვა ტიპის (მაგ. ქურდობა, ნარკოტიკების გავრცელება, მკვლელობა, კორუფცია, თაღლითობა, ძალადობა, დისკრიმინაცია...) და მათ გამოძწევ მიზეზებზე, შემცირების გზებზე.</li> </ul> <p>ბიოლ.-X.საუბრობს ნერვული სისტემისათვის ფსიქოაქტიური ნივთიერების დამაზიანებელ ეფექტზე.</p> <p>კვლ. X.4. მოსწავლეს შეუძლია მონაცემთა ანალიზი და შეფასება. მოსწავლე ლეზულობს ინფორმაციას და ადარებს ერთმანეთს ჯანმრთელ და ავადმყოფ ანუ დამოკიდებულ ცხოვრებას.</p>
--	--

(ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 -2016 წწ.)

**ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანი:**

ა) მოსწავლეები გაერკვნენ პათოლოგიური დამოკიდებულების არსში, გააცნობიერონ რას ნიშნავს იყო დამოკიდებული, რა მახასიათებლები აქვს დამოკიდებულებას, რა პრობლემას უქმნის ადამიანს პათოლოგიური დამოკიდებულება?

ბ) განუვითარდეთ: პრევენტაციის, საკუთარი პოზიციის, არგუმენტირებულადდასაბუთების და თანამშრომლობის უნარები.

**გაკვეთილის თანმიმდევრობა (აქტივობები)**

1. გაკვეთილისჩატარებისმიზნისგაცნობა;
  2. კითხვარის შევსება;
  3. პრევენტაცია
- VIII- კლ. "ალკოჰოლი და მისი მოქმედება" ;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

IX- კლ. "თამბაქო და მისი უარყოფითი შედეგი" ;

X-კლ"ნარკოტიკული ნივთიერებები და მათი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება "

4. ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერის ჩვენება.

დიდი დილმის ასიათასი მოწამის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოსი ლუკა ლუპატასაშვილის მოსაზრება ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკის, ალკოჰოლის,თამბაქოს) მიმართ.

5. დებატები VIII-IX-X კლასის მოსწავლეები;

6. შეფასება: შეფასების რუბრიკები;

7. რჩევა თანატოლებს, ახლობლების მიმართ მოსწავლეების მხრიდან წერილობით;

8. რჩევების განხილვა;

გაკვეთილიმდინარეობდა ორი აკადემიური საათის განმავლობაში, გაკვეთილს ესწრებოდა 22 მოსწავლე.

**გაკვეთილის მიმდინარეობა**

მოსწავლეებსგავაცანით გაკვეთილის მიზანი, დავურიგეთ წინასწარ გამზადებული კითხვარი შესავსებად, მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად.

მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაცია წინასწარ მოძიებული და დამუშავებული თემების ირგვლივ, კერძოდ:

VIIIკლასის მოსწავლეებმა - "ალკოჰოლი და მისი მოქმედება".

IXკლასის მოსწავლეებმა - "თამბაქო და მისი უარყოფითი შედეგი".

Xკლასის მოსწავლეებმა - "ნარკოტიკული ნივთიერებები და მათი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება" .

ასევე, მეათე კლასის მოსწავლემ დაამზადა ანტისარეკლამო ვიდეო რგოლიაღნიშნული ფსიქოაქტიური ნივთიერებებისშესახებ და აჩვენა პრეზენტაციის დროს, სადაც ნათლად იყო წარმოდგენილი, თუ რა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ალკოჰოლი, ნიკოტინი და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებები.

ვაჩვენეთ ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერი დიდი დილმის ასიათასი მოწამის სახელობის ტაძრის წინამძღვარი ლუკა ლუპატასაშვილის მოსაზრება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიმართ,მეათე კლასის მოსწავლეების სურვილის შესაბამისად.

პრეზენტაციისშემდეგმოსწავლეებმაგამართესდებატებიშემდეგკითხვებზე:

1) რომელი ფსიქოაქტიური ნივთიერება ალკოჰოლი, ნიკოტინი, თუ ნარკოტიკი უფრო მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მის გარშემო მყოფი საზოგადოებისათვის?

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

2) როგორ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ უკვე ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებული პიროვნებების გამოჯამრთელებაზე. თქვენი აზრით როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება საერთოდ?

დებატებისათვის შეირჩა ჯგუფები VIII-IX-X კლასებიდან, წამყვანი იყო მეათე კლასის მოსწავლე, ასევე შერჩეული იყო თითოეული კლასიდან თითო დამკვირვებელი, რომლებსაც ჰქონდათ წინასწარ გამზადებული შეფასების რუბრიკები: ჩართულობის, დისკუსიის და პრეზენტაციის. (აღნიშნულ რუბრიკებს თან ვურთავთ სტესტიას)

თავდაპირველად დებატებში მონაწილეობდა მხოლოდ შერჩეული ჯგუფის წევრები დანარჩენები თითქოს უმოქმედო მდგომარეობაში - მსმენელის როლში აღმოჩნდნენ. თუმცა დაინტერესდნენ და გაუჩნდათ საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი, ამის გამო მივეცით ყველას საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. მასწავლებლები ვაკონტროლებდით, რომ არ მომხდარიყო თემიდან გადახვევა, წინ წამოწეულიყო ალკოჰოლის, ნიკოტინის და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების დამაზიანებელი მოქმედება როგორც ფიზიკურ ასევე სულიერ მდგომარეობაზე.

მოსწავლეთა უმრავლესობამ გაიზიარა მოსაზრება, რომ ყველა ნარკოტიკს ახასიათებს დამოკიდებულების ჩამოყალიბების პოტენციალი და ნარკოტიკის ლეგალურობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკლებად მავნეა ორგანიზმისათვის. მაგალითად, თამბაქო და ალკოჰოლი, მიუხედავად მათი ლეგალურობისა, კაცობრიობისათვის ყველაზე საშიშ ნარკოტიკებად ითვლება, იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან გავცელებულია და ბევრად მეტი ადამიანისთვის შეუძლია ზიანის მოტანა.

მოსწავლეების მიერ დებატებში აღინიშნა, რომ უკვე დამოკიდებულ ადამიანზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, უმკურნალოს და დაუბრუნოს საზოგადოებას სრულფასოვან წევრად.

დებატები ემსახურებოდა საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვასა და საკუთარი პოზიციის დაცვას, დისკუსიით, ანალიზით მოსწავლეებმა გააცნობიერეს თუ რა საფრთხეები ახლავს აღნიშნულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და მივიდნენ სწორ დასკვნამდე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომ ამ ნივთიერებებზე დამოკიდებულება დიდ რისკს უქმნის ადამიანის ჯამრთელობას და იწვევს: წარუმატებლობას სწავლას და საქმიანობაში, ფინანსურ პრობლემებს, კონფლიქტებს ოჯახსა და საზოგადოებაში და ა.შ.

შემდეგ დამკვირვებლებმა შეაფასეს რუბრიკებით პრეზენტაცია, გაკვეთილზე ჩართულობა და დებატები. ამის შემდეგ მოსწავლეებმა ჩვენი მითითებით წერილობით ფერად ფურცლებზე დაწერეს რჩევები თანატოლების, ახლობლების მისამართით და მოხდა მათი განხილვა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

განსაზღვრული გვექონდა ამ გაკვეთილით მოსწავლეებს მიეღოთ შესაბამისი ცოდნა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე(ალკოჰოლი, თამბაქო, ნიკოტინი) და მასზე დამოკიდებულობების შესახებ, მოსწავლეებმა გაიგეს, რომ წამალდამოკიდებულება ფსიქიკური დამოკიდებულებით იწყება. ნარკოტიკების მიღების შემდეგ ადამიანს სასიამოვნო გრძნობა უჩნდება, რაც უბიძგებს მას ნარკოტიკის განმეორებით მიღებისაკენ. ფსიქიკური დამოკიდებულების მქონე ადამიანი იწყებს ნარკოტიკის რეგულარულად მიღებას და თანდათან ხდება ფიზიკურად დამოკიდებული ნარკოტიკზე და იძულებულია ის მიიღოს არა იმდენად სიამოვნებისთვის, არამედ ძლიერი ფიზიკური დისკომფორტის დასაძლევად.

მოხდა საგანთა შორის ინტეგრირება ბიოლოგიური და პათოლოგიური საშიშროებიდან, როგორ მივდივართ საზოგადოებისთვის საშიშ მდგომარეობამდე. ეს გამოჩნდა ხუთწუთიან წერილობით რჩევებში, რომლებიც მოსწავლეებმა გააკეთეს თანატოლების, ახლობლების მისამართით ფერად ფურცლებზე, რომელიც გავაკარით დაფაზე, მოსწავლეებმა წაიკითხეს და შეარჩიეს საუკეთესო.

გაკვეთილი შედეგზე გავიდა, რადგან მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, განივითარეს მიზანში დასახული უნარ-ჩვევები და გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება აღნიშნული ნივთიერებების მიმართ. რაც გამოჩნდა შევსებულ კითხვარში - ყველა მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი იყო ჯანმრთელობა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება.

მოსწავლეებმა ამ გაკვეთილის შედეგად დაასკვნეს, რომ ყველა ნარკოტიკი სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას: აზიანებს ნერვულ და იმუნურ სისტემას, გულს, ღვიძლს, ფილტვებს. ნარკოტიკების მოხმარების შედეგად იზრდება აგრესიულობა და თავშეუკავებლობა, ეს კი მძიმე დანაშაულის მიზეზი ხდება. მოსწავლეებმა ასევე გაათვითცნობიერეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი, რათა თავიდან აირიდონ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება და შესაბამისად მათი მოხმარებისაგან გამოწვეული რისკები. ნარკოტიკის მოხმარების შედეგად ადამიანი კარგავს ჯერ თავისუფლებას, შემდეგ ჯანმრთელობას და ბოლოს სიცოცხლეს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.  
-პრაქტიკული გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014 წ. ;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011 -2016 წწ.
3. ზაალიშვილი ნ., იოსებაშვილი ნ., ბიოლოგია, VIII და X კლასების სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი "ტრიასი", 2012 წ. ;
4. ზაალიშვილი ნ., იოსებაშვილი ნ., ბიოლოგია, VIII და X კლასების მასწავლებლის წიგნი, საგამომცემლო სახლი "ტრიასი", 2012 წ.